ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48212254**
თარიღი:**13/08/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და „ე“ პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს განახორციელონ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე მუშაობა არსებული პროგრამების / ქვეპროგრამების / საფუძველზე ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

3. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ზღვრული მოცულობები ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, განაცხადის ფორმებზე მუშაობის დასაწყებად.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტისა და 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა-მოწონებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შეხვედრის

ოქმი #2

13 აგვისტო 2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გრიგოლ იოსელიანი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე.
2. ზურაბ მაისურაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.
3. ალექსანდრე დადუნაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
4. ნესტორ აფხაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი.
5. პაატა ახალაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.
6. თამარ მამარდაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.
7. თენგიზ ნიჟარაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.
8. რომეო ნიჟარაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
9. ლაშა კაკრიაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
10. მურმან შალამბერიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
11. ფატი გაგოშიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
12. ვახტანგ ნადარეიშვილი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი.
13. ნათია ჩაკვეტაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.
14. რიმა მარგიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი.
15. მალხაზი ჩხეიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

16. მარეხი კანკაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.
17. მაკა თედორაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი.
18. გრიგოლ ყურაშვილი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.
19. გიორგი ჩაკვეტაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი.
20. ფიქრია შვანგირაძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანოს - საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი.
21. ლიანა ჯიმშელეიშვილი- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
22. ანა გელენიძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზების განხილვა მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფ.გაგოშიძის მოხსენება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 14 ივლისის მოწერილობის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022--2025 წლების პრიორიტეტის დოკუმენტში განსაზღვრული პროგრამების ჭერების განხილვასა და მოწონების შესახებ. ფატი გაგოშიძემ გააცნო სამუშაო ჯგუფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომართვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ. აღნიშნა, რომ ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2022 წლისათვის მოსალოდნელია -6,3 %, ხოლო 2023-2025 წლებში -5,5%-ის ფარგლებში. შესაბამისად 2022 წლის ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების ზრდა უნდა მოხდეს აღნიშნული მაჩვენებლის გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტების კუთვნილი დამატებითი ღირებულების გადასახადი განაწილდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად. 19

%-ის ოდენობით და მისი საპროგნოზო მაჩვენებელი თითოეული მუნიციპალიტეტისათვის დაზუსტდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენისას.

აღნიშნულზე დაყრდნობით, სამუშაო ჯგუფს გააცნო პროგრამების ჭერების ზღვრული მოცულობის შესახებ და ისაუბრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტით პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

გრიგოლ იოსელიანმა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე).

პაატა ახალაძემ (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

ალექსანდრე დადუნაშვილმა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე).

მალხაზი ჩხეიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

ნათია ჩაკვეტაძემ (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

ლაშა კაკრიაშვილმა (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მარეხი კანკაძემ (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი).

გამომსვლლებმა იმსჯელეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მნიშვნელობებთან დაკავშირებით და იმ საჭიროებებზე რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტშია დღეის მდგომარეობით.

ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინეს, რომ მიიღონ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 -2025 წლების პროექტი წარმოდგენილი ჭერების შესაბამისად.

დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამების წარმოდგენილ ჭერების შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შექმნა.

კომისიის თავმჯდომარე: გრიგოლ იოსელიანი

პაატა ახალაძე

ზურაბ მაისურაძე

ალექსანდრე დადუნაშვილი

ნესტორ აფხაძე

თამარ მამარდაშვილი

თენგიზ ნიჟარაძე

რომეო ნიჟარაძე

ლაშა კაკრიაშვილი

მურმან შალამბერიძე

ფატი გაგოშიძე

ვახტანგ ნადარეიშვილი

ნათია ჩაკვეტაძე

რიმა მარგიანი

მალხაზი ჩხეიძე

მარეხი კანკაძე

მაკა თედორაძე

გრიგოლ ყურაშვილი

გიორგი ჩაკვეტაძე

ფიქრია შვანგირაძე

ლიანა ჯიმშელეიშვილი

ანა გელენიძე